

**აქციის
„Amediateka დამატებითი გადასახდელის გარეშე
სილქ ტვ-ით მოსარგებლე აბონენტებისთვის“
პირობები**

1. აქციის „Amediateka დამატებითი გადასახდელის გარეშე სილქ ტვ-ით მოსარგებლე აბონენტებისთვის“ (შემდგომში „აქცია“) ფარგლებში სილქ ტვ მომსახურების მიმღები აბონენტები, რომელთაც არ აქვთ გააქტიურებული "Amediateka", სილქ ტვ ძირითადი მომსახურების სააბონენტო გადასახდელის ფარგლებში ისარგებლებენ დამატებითი სერვისით „Amediateka“.
2. სილქ ტვ მომსახურების მიმღებ აბონენტებს ავტომატურად გაუაქტიურდებათ წინამდებარე აქცია.
3. აქცია ვრცელდება აბონენტებზე, რომლებიც აქციის გაშვების დღეს სარგებლობენ DSL / ოპტიკური სილქ ტვ მომსახურებით (ან მომსახურებების კომბინაციით/სპეციალური შეთავაზებით, რომელიც მოიცავს სილქ ტვ-ს (მათ შორის სილქ+) და ამასთან, არ აქვთ გააქტიურებული სერვისი "Amediateka".
4. აქცია არ ვრცელდება აბონენტებზე, რომლებიც სარგებლობენ ორმაგი შეთავაზების იმ პაკეტებით, რომლის ღირებულებაც მოიცავს „Amediateka“-ს და მე-4 პუნქტით განსაზღვრულ პერიოდში განახორციელებენ ცვლილებას ორმაგი შეთავაზების იმ პაკეტით, რომელიც არ მოიცავს „Amediateka“-ს.
5. აქციის ავტომატურად აქტივაციის პერიოდი განისაზღვრება **2020 წლის 4 მაისიდან - 2020 წლის 6 მაისის ჩათვლით**.
6. აქციის მოქმედების ვადა - აბონენტებისთვის აქციის ავტომატური აქტივაციის თარიღის მიუხედავად, აქციის მოქმედების ვადა განისაზღვრება **აქციის აქტივაციიდან - 2020 წლის 6 ივლისის ჩათვლით**.
7. აბონენტები „Amediateka“-ს კატალოგში არსებულ „18+“ კონტენტზე ისარგებლებენ „18+“-თვის განკუთვნილი პინ კოდით. „Amediateka“-ს მენიუდან გამოსვლის შემდეგ („საშინაო სკოლის“, „ვიდეოთეკის“ და ა.შ მენიუში შესვლა, ან პროფილიდან გამოსვლა) საჭირო იქნება ყოველ ჯერზე პინ კოდის ხელახლა შეყვანა (სატელევიზიო არხებზე გადასვლა არ ჩაითვლება „Amediateka“-ის მენიუდან გამოსვლის ფუნქციად).
8. აქციის მოქმედების ვადის ამოწურვის შემდეგ აბონენტებს შეუწყდებათ აქციის ფარგლებში გააქტიურებული დამატებითი სერვისი „Amediateka“.